პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების დანართის 4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2026 წლის 4 თებერვლის №5 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 5 თებერვლის №2 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე.

მუხლი 2. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის საჯარო სკოლა 1830 წლიდან იღებს სათავეს. 1850-იან წლებში იგი გადაკეთდა გიმნაზიად. 1870-იან წლებში კი კლასიკური ენების: ძველბერძნულისა და ლათინურის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით კლასიკური გიმნაზიის სტატუსით გააგრძელა ფუნქციონირება. სწორედ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია იქცა საქართველოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს ქვაკუთხედად. საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში იწონებს თავს თავისი აღზრდილების უმნიშვნელოვანესი მიღწევებით. ის ერთადერთია იმითაც, რომ 195 სასწავლო წლის მანძილზე მას სასწავლო პროცესი არ შეუწყვეტია. ამ ისტორიას აგრძელებს ამ სასწავლებლის უნიკალური ისტორიულ -არქიტექტურული ნაგებობის არსებობის ფაქტიც. რომელიც თავისი განსაკუთრებული სივრცით თანამედროვე სასწავლო გარემოსთვის აუცილებელ ნებისმიერ საჭიროებას მოერგება. 90-იან წლებში სკოლამ ისევ აღიდგინა კლასიკური გიმნაზიის სახელი, თუმცა მალევე გადაკეთდა N1 საჯარო სკოლად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედმა კომისიამ 2026 წლის 10 მარტის სხდომაზე იმსჯელა და მიიღო რეკომენდაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2026 წლის 4 თებერვლის №5 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 5 თებერვლის №2 ოქმის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნულის შესახებ იმსჯელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

N1 საჯარო სკოლისათვის ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის სახელის მინიჭებით აღსრულდება ისტორიული სამართლიანობაც და შეიქმნება საფუძვლიანი მოტივაცია ახალგაზრდობის მომავალი წარმატებისათვის.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისია.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - დავით ერემეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი გენადი კუჭუხიძე.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ოქმი N2

ქუთაისის მერიის პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის 2026 წლის 10 მარტის N2 სხდომის

დღის წესრიგი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის N1 საჯარო სკოლისათვის ,,სსიპ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

/მომხსენებელი: გ. კუჭუხიძე/

აზრი გამოთქვეს: თ. ღვინიანიძემ; ა. ნიკოლეიშვილმა;
ვ. ჯუღელმა; ლ. გვენეტაძემ; კ. ფხაკაძემ; გ. კიკვაძემ;
მ. სამანიშვილმა

დადგინდეს:

1. მოწონებულ იქნას აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს წარდგინება აღნიშნული სახელის გადარქმევისა და მისთვის ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N1 კლასიკური გიმნაზიის მინიჭების თაობაზე";

2. აღნიშნული ოქმი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილ იქნას ქალაქ ქუთაისის საკრებულოში შესაბამისის განკარგულების მისაღებად.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 16 წევრმა. თანხმობის მიცემის რეკომენდაციას მხარი დაუჭირა კომისიის 16-ვე წევრმა.

პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი: **/გ. კუჭუხიძე/**